საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 09 ივნისი, 2016 წ.

დადგენილება № 04-01/33

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების, „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებისა და „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №101/ნ საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გასაცემი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების:

ა) „მაგისტრის დიპლომი"-ს ფორმა (დანართი №1);

ბ) „ბაკალავრის დიპლომი"-ს ფორმა (დანართი № 2);

გ) „პროფესიული დიპლომი"-ს (IV/V საფეხურის) ფორმა (დანართი № 3)

2. დაევალოს დიპლომების ჩამოწერის საექსპერტო კომისიას არსებული წესის თანახმად უზრუნველყოს გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომის ფორმის ნიმუშების ჩამოწერა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია